საქართველოს პარლამენტი

2024 წლის I კვარტლის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
მაისი

2024 წლის I კვარტლის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

7.8%

2024 წლის I კვარტალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **0.3%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.1%**-ით განისაზღვრა.

I კვარტალში საქონლის ექსპორტი **9.3%**-ით, ხოლო იმპორტი **5.3%**-ით შემცირდა.



I კვარტალში ფულადმა გზავნილებმა **806.0** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **39.5%;**
რუსეთი - **22.5%;**
აშშ - **15.2%;**
სხვა ქვეყნები - **22.8%.**

I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით **0.9%**-ით გამყარდა, ხოლო **2023** წლის I კვარტალთან მიმართებით **1.3%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური სექტორი



<u>სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის I კვარტალში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 7.8% შეადგინა.</u>

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2024 წლის თებერვალში მომზადებული პირველი კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება 7.2%[1]-ით განისაზღვრა, რაც საქართველოს ეკონომიკაზე ქვეყანაში არსებულ როგორც ინფლაციის დაბალ მაჩვენებლებს, ასევე რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენას ითვალისწინებდა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლის I კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ წინასწარ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 0.9%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი (1.5%) იყო.



<u>საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის IV* კვარტალში მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას ჰქონდა.</u>

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2023 წლის IV*კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპში დადებითი წვლილი მოხმარების (8.93 პპ) და ინვესტიციების (0.58 პპ) კომპონენტებმა შეიტანა. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე ექსპორტს (-2.57 პპ) და იმპორტს (-0.08 პპ) ჰქონდა.



<u>2023 წლის IV* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.</u>

2023 წლის IV* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი[2] საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (14.4%). ასევე მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (8.8%), დამამუშავებელი მრეწველობა (8.3%), მშენებლობა (7.9%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (5.9%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (5.6%), ტრანსპორტი და დასაწყობება (5.5%), განათლება (4.5%).

[1] www.pbo.parliament.ge

[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით



<u>თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.</u>

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[3] ზრდის ტემპმა 5.5% შეადგინა. 2023 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 7.8% იყო.



[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

<u>2024 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია კლების ტენდენციას ავლენს.</u>

2024 წლის I კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 0.3% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. ინფლაციის ზრდის ტემპზე გავლენა იქონია ძირითადად სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2024 წლის I კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 2.1% შეადგინა.

2. ფისკალური სექტორი



<u>2024 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

2024 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 24.7%-ით გაიზარდა და 6,323.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა 22.9%-ით განისაზღვრა და 6,201.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 534.5 მლნ ლარით გაიზარდა და 1,375.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 233.3 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო 98.4 მლნ ლარს შეადგენდა.





<u>2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 25.3%-ით გაიზარდა და 5,773.4 მლნ ლარით განისაზღვრა.</u>

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 40.8%-ით გაიზარდა და 3,078.4 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 11.2%-ით მოიმატა და 2,695.0 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 8.1%-ით და 82.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 26.2%-ით მოიმატა, რამაც 468.4 მლნ ლარი შეადგინა.

<u>2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.</u>

2024 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 4,948.7 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.0%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 1,252.8 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 53.5%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 19.1%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 654.9 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 721.1 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 15.1%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 1,924.6 მლნ ლარი (მოიმატა 16.8%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა ხარჯები) 17.3%-ით გაიზარდა და 1,648.1 მლნ ლარით განისაზღვრა.

3. საგარეო სექტორი





2024 წლის I კვარტლის ბოლოს (31 მარტის მდგომარეობით) სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 32,282 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 11.9%-ით მეტია.

2024 წლის I კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 72.8%-ს შეადგენს (2023 წლის I კვარტლის ბოლოს - 75.2%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 27.2%-ს (2023 წლის Iკვარტლის ბოლოს - 24.8%).



2023 წლის IV* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის IV* კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 559.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.2%-ით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი 6.8%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსის და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მიმდინარე ტრანსფერტებისა და მომსახურების დადებითი სალდო ფარავს, საიდანაც აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დადებითი გავლენა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 12.6%-ით შემცირდა და 873.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის კომპონენტები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2023 წლის IV* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.</u>

აღნიშნულ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 149.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 1.8%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 27.8%-ით ნაკლებია.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი დაფინანსების წყაროები
(მლნ აშშ დოლარი)



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი, თვე)



<u>2024 წლის I კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,776.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

2024 წლის I კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,776.9 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5%-ით ნაკლები.

2024 წლის I კვარტალში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

საქონლით საგარეო ვაჭრობა
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის I კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში როგორც ექსპორტის, აგრეთე იმპორტის კლების ტენდენცია გამოიკვეთა.</u>

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2024 წლის I კვარტალში საქონლის ექსპორტი 9.3%-ით შემცირდა და 1,326.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 5.3%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც 3,373.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.2%-ით განისაზღვრა. 2024წლის I კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (33.5% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), ნატურალური ღვინო (6.3%), ფეროშენადნობები (5.5%), სპირტიანი სასმელები (4.3%), ძვირფასი ლითონები (3.0%), მინერალური და მტკნარი წყლები (2.8%) და სხვა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(I კვარტალი)



საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



<u>2024 წლის I კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა.</u>

2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 1,300,551 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.6%-ით მეტია. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც I კვარტალში 1,157,347 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 8.6%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა თურქეთიდან (254,577; ზრდა წინა წლის I კვარტალთან 17.6%), რუსეთიდან (215,468; კლება 16.1%), სომხეთიდან (191,830; ზრდა 5.1%),

2024 წლის I კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 807.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
(I კვარტალი)



<u>2024 წლის I კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2024 წლის I კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები 35.8%-ით შემცირდა და 806.0 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.5%) და რუსეთი (22.5%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ირლანდიიდან (58.6%), აშშ-დან (30.5%), გერმანიიდან (17.1%), ისრაელიდან (13.7%), საფრანგეთიდან (13.5%), ესპანეთიდან (10.9%), იტალიიდან (10.6%) და სხვა. ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან (74.2%), ყაზახეთიდან (18.8%), თურქეთიდან (15.6%) და სხვა.

ფულადი გზავნილები **(%)**
(I კვარტალი**)**



3. მონეტარული სექტორი

მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი



<u>2024 წლის I კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 8.25% შეადგინა.</u>

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 1 თებერვლისა და 29 მარტის გადაწყვეტილებებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა.2023 წლის 10 მაისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5% შეადგინა. მომდევნო პერიოდში განაკვეთი ეტაპობრივად 0.25%-ული პუნქტით მცირდებოდა და 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით 10.0% დაფიქსირდა, 25 ოქტომბერს უცვლელი დარჩა, ხოლო 20 დეკემბერს 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 9.5% შეადგინა

საქართველოში 2024 წლის პირველ კვარტალში არსებული დაბალი ინფლაციის გამო, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შეამცირა და 9.0% შეადგინა, ხოლო 13 მარტის გადაწყვეტილებით კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.75%-ული პუნქტით შემცირდა და 8.25% დაფიქსირდა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე
(%)



2024 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.3%-ს შეადგენდა.

2024 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.03 პპ-ით გაიზარდა და 13.3%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15.5% შეადგინა (0.26 პპ-ით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 8.6% (0.51 პპ-ით ნაკლები).

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები
(ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2024 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გამყარდა, ევროსა და რუსული რუბლის გარდა.

2024 წლის I კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, ლარი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ 0.9%-ით გამყარდა, ხოლო 2023 წლის I კვარტალთან მიმართებით, 1.3%-ით გაუფასურდა. 2023 წლის I კვარტალთან შედარებით, ლარი გაუფასურდა ევროსთან (2.5%-ით) და აზებაიჯანულ მანათთან (1.2%), ხოლო გამყარდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებით: თურქულ ლირასთან (61.7%), რუსულ რუბლთან (23.1%-ით), სომხურ დრამთან (1.3%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (2.2%-ით).

კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება
(ნაშთები, მლნ ლარი)



2024 წლის I კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 18.4%-ით მოიმატა და 52,021 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (53.7%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 21.6% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.5% - მშენებლობის, 18.3% - მრეწველობის, 13.0% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით
(ნაკადები)



დოლარიზაცია
(%)



<u>2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე მცირედით გაიზარდა.</u>

2023 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 50.8% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი კი 44.4%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 48.6%-ს, სესხებზე კი 45.0%-ს გაუტოლდა. IIIკვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 48.1% შეადგინა, სესხებზე კი დოლარიზაციის მონაცემი 44.8%-ით განისაზღვრა. IV კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 47.0%, ხოლო სესხებზე 45.1% შეადგინა.

2024 წლის I კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 46.2% შეადგინა, ანუ წინა კვარტალთან შედარებით 0.8%-ული პუნქტით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე კი 4.6%-ული პუნქტით ნაკლები. სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი 44.7%-ით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან მიმართებით 0.4%-ული პუნქტით ნაკლებია, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 0.3%-ული პუნქტით მეტია.

4. სოციალური სფერო

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის I კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა.

2024 წლის Iკვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 680.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 37.6%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 437.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.7%-ით მეტი.

სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(ათასი კაცი)



2023 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა შემცირდა.

2023 წლის IV* კვარტალში სამუშაო ძალამ 1,621.3 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4.3%-ით აღემატება. მათ შორის, დასაქმებულთა რაოდენობა 1,372.7 ათასი კაცით განისაზღვრა (5.2%-ით მეტი წინა წლის მაჩვენებელზე). დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 69.8%-ია, თვითდასაქმებულთა წილი კი - 30.1%. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 248.6 ათასი კაცს შეადგენდა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.4%-ით ნაკლებს.

აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი IV კვარტალში 2,044.5 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.3%-ით აღემატება.

საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონემ 15.3% შეადგინა (0.7 პპ-ით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით).

<u>2023 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.</u>

2023 წლის IV*კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 782.3 ათასი კაცი შეადგინა (მათ შორის, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 742 ათასი კაცი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.6%-ით მეტია. რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 2,196.2 ლარით განისაზღვრა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.9%-ით მეტი.

ბიზნეს სექტორში დასაქმება (ათასი კაცი) და
ხელფასები (ლარი)



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები) შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი